

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის

სათათბიროს სხდომის

**ო კ მ ი №37**

06.03.2015

**სხდომას ესწრებოდა 13 წევრიდან 9**

### **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

1. 2015 წელს ფაკულტეტზე ტენდერის ჩატარების შესახებ (გ. მჭედლიშვილი);
2. თანამშრომლებზე სოციალური დახმარების გაცემის შესახებ (ნ. წერეთელი)  
მიმდინრე საკითხები

**მოისმინეს:** **მენეჯერი გ. მჭედლიშვილი:** მან აღნიშნა, რომ 2015 წელს პირველ რიგში დაგეგმილია ტენდერის ჩატარება მე-10 სასწავლო კორპუსის გათბობის მიზნით. აღნიშნული სამუშაოს ჩასატარებლად ფაკულტეტის ბიუჯეტში ჩასმულია 200 000 ლარი, თუმცა ხარჯთაღრიცხვით ჩასატარებელი სამუშაოს რაოდენობა განისაზღვრება 280 000 ლარით. როგორც მენეჯერმა მიუთითა 80 000 ლარი უნდა იქნეს მოძიებული სხვა მუხლებიდან. თუმცა ტენდერით დაკლების შემდეგ გამონთავისუფლებული თანხა კვლავ იქნება მიზნობრივად გამოყენებული.

**აზრი გამოთქვეს პროფესორებმა:** ნ. კუციავა, ზ. კოვზირიძე ლ. გვასალია.

**დაადგინეს** ცნობად იქნეს მიღებული მენეჯერის ინფორმაცია 2015 წელს ტენდერის მიმდინარეობის შესახებ.

დადგენილება მიღებულია ერთხმად

**მოისმინეს:** **პროფ. ნ.წერეთელი:** მან აღნიშნა, რომ დაგროვდა განცხადებები სოციალური დახმარების მოთხოვნის მიზნით. მან სათათბიროს წევრებს გააცნო თითოეული თანამშრომლის განცხადება თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით.

**აზრი გამოთქვეს პროფესორებმა:** ნ. კუციავა, ზ. კოვზირიძე ლ. გვასალია, მ. მშვილდაძე, მ. მაისურაძე, თ. ცინცაძე. მათ აღნიშნეს, რომ ფაკულტეტის მწირე ბიუჯეტი არ იძლევა საშუალებას მთლიანად

დავაკმაყოფილოთ განმცხადებელთა მოთხოვნები, თუმცა აუცილებელია შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ მათ.

**დაადგინეს;** ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების სახით გაიცეს თანხა შემდეგ თანამშრომლებზე:

- |                        |   |                 |
|------------------------|---|-----------------|
| 1. ოქროსცვარიძე ზურაბი | - | 250 ლარი ხელზე; |
| 2. ჩაჩანიძე მზია       | - | 300 ლარი ხელზე  |
| 3. ვაჩიშვილი ნოდარი    | - | 250 ლარი ხელზე  |
| 4. მაისურაძე ბადრი     | - | 300 ლარი ხელზე  |
| 5. ნავროზაშვილი ნინო   | - | 250 ლარი ხელზე  |
| 6. ასათიანი დავითი     | - | 250 ლარი ხელზე  |
| 7. კოდუა ნოდარი        | - | 300 ლარი ხელზე  |
| 8. ნანობაშვილი დომნა   | - | 250 ლარი ხელზე  |

მიმდინარე საკითხები

**მოისმინეს:** **პროფ. ნ. წერეთელი:** მან აღნიშნა, რომ შემოსულია ჩვენი ფაკულტეტის პროფესიული სწავლების კურსდამთავრებულ გიორგი ჩხარტიშვილის განცხადება, რომელიც სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით გადმოეცა ფაკულტეტს. განმცხადებელი ითხოვს დავალიანების დაფარვას 334 ლარის ოდენობით. ნ. წერეთელმა სათათბიროს წევრებს გააცნო აგრეთვე ფაკულტეტზე განსახილველად გადმოცემული ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის ი. შიხიაშვილის რექტორის სახელზე გაგზავნილი წერილი, რომლითაც შუამდგომლობს ჩვენი ფაკულტეტის IV წლის სწავლების სტუდენტს ია იაგორაშვილს სწავლის საფასურის 749 ლარის ოდენობით დაფარვასთან დაკავშირებით.. ასევე გააცნო II წლის სწავლების სტუდენტის ბექა ქველაძის განცხადებაც, რომელიც ითხოვს შეძლებისდაგვარად სწავლების საფასურის დაფარვას.

**აზრი გამოთქვს პროფესორებმა:** ნ. კუციავა, ზ. კოვზირიძე ლ. გვასალია.მ. მშვილდაძე, მენეჯერი გ. მჭედლიშვილი. მათ აღნიშნეს, რომ მწირი ბიუჯეტის გამო გ. ჩხარტიშვილს გადახდილად ჩათვალოს 200 ლარი, ამასთან ეთხოვოს მენეჯერს ია იაგორაშვილს და ბექა ქველაძეს დაუწესდეს სწავლების საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი და არ მოხდეს მათი დაბლოკვა ელექტრონულ უწყისში.

**დაადგინეს;** 1. ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გ. ჩხარტიშვილს გადახდილად ჩათვალოს 200 ლარი;  
2. ეთხოვოს მენეჯერს, რომ ია იაგორაშვილს და ბექა ქველაძეს დაუწესდეს სწავლების საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი და არ მოხდეს მათი დაბლოკვა ელექტრონულ უწყისში.

დადგენილება მიღებულია ერთხმად

**მოისმინეს:** პროფ. ნ. წერეთელი: მან სათათბიროს წევრებს გააცნო პროფესორების გურამ გაფრინდაშვილისა და იზოლდა კახნიაშვილის განცხადებები, რომლებიც მონოგრაფიისა და დამხმარე სახელმძღვანელოს დასაბეჭდად შესაბამისად ითხოვენ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან 600 და 100 ლარს.

**აზრი გამოთქვას პროფ. ნ. კუციავა, გ. მჭედლიშვილი.** მათ მხარი დაუჭირეს მონოგრაფიისა და დამხმარე სახელმძღვანელოს დასაბეჭდად მოთხოვნილი თანხის ბიუჯეტიდან გამოყოფას.

- დაადგინეს:**
1. ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 600 ლარი მონოგრაფიის "ტიხრული მომინანქრება ძვლის ფაიფურის ფუძით" (ავტორი გ. გაფრინდაშვილი) დასაბეჭდად.
  2. ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 100 ლარი დამხმარე სახელმძღვანელოს "პლატინოიდების მეტალურგია" (ავტორი ი. კახნიაშვილი, ზ. ოქროსცვარიძე, ლ. ჩხიკვაძე) დასაბეჭდად.

დადგენილება მიღებულია ერთხმად

**მოისმინეს:** პროფ. ნ. წერეთელი: მან სათათბიროს წევრებს გააცნო ფარმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფ. თ. ცინცაძის მოხსენებითი ბარათი. რომლის მიხედვითაც 2015 წლის 23-24 აპრილს პოლონეთში ტარდება საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც ერთ-ერთ მომხსენებლად წარდგენლია ასოც. პროფ. მ. ჩიქავა. აღნიშნულ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად საჭირო სამივლინებო ხარჯი შეადგენს 460 ევროს. განმცხადებელი თხოულობს აღნიშნული თანხის დაფინანსებას ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

**აზრი გამოთქვას პროფ. ნ. კუციავა, ლ. გვასალია, მ. მშვილდაძე, გ. მჭედლიშვილი.** მათ მხარი დაუჭირეს ასოც. პროფ. მ. ჩიქავას სამივლინებო ხარჯების ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსებას.

- დაადგინეს:** 2015 წლის 23-24 აპრილს პოლონეთში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ასოც. პროფ. მ. ჩიქავას ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 460 ევროს ექვივალენტი ლარი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე